


140 /  
1962/2

საბავშვო  
გაზეთი




140/2

42

ბიონური  
7 ივნისი 1962

ფაჩხა  
მეგანე  
ჩაქალო!

საქართველო  
საბავშვო



ბავაღა ყავს დედოფალა  
ფოტო ლ. ზერბულდიძეა

გასეირნება  
ფოტო ლ. ზერბულდიძეა

შვავილების შეგობარო  
ფოტო ლ. იაკობაშვილია



„დიდი შატის“ წინ  
ფოტო ნ. იორდანაშვილია





**საბარტველოს**  
**ალექსანდრე პოპოვიჩისა და**  
**გ. ი. ლენინის სახელობის**  
**წიგნობის მდიანობის**  
**სამსახურის საბავშვო**  
**სამსახური**

საბავშვო  
 XXXVI  
 ყოფი

ბავშვთა რედაქციის  
 საბავშვო კოლეჯი:

- რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ვ. კვარაცხელია,
- მ. ლუბანიძე (პ./მ. მდივანი), მარჯანი,
- გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ჭიჭიანი,
- ე. ყიფიანი, ა. შერვაშიძე, რ. ცუცქერიძე

ნ. ტიხონოვი - ჩემი მსახიობობის ამბავი (მოთხრობა. თარგმანი დ. გორდელაძემ) . . . . .	2
პიონერული ორწლედის ქრონიკა . . . . .	4
გ. ლანაძე—თურქულიანი წიგნები (ნარკვევი) . . . . .	5
გ. აბრამიშვილი—უკანასკნელი ვიღაჟერა (მოთხრობა) . . . . .	6
რ. დავითიანი—ხელოვნური ზოგო (წერილი) . . . . .	8
წ. შერვაშიძე—უმისამართო ბარათი (ლექსი) . . . . .	8
რატომ ვამბობთ ასე . . . . .	9
გ. შერვაძე—ჩვენ დავეგობრდით (ნარკვევი) . . . . .	10
ა. ლენინი—იოსებ რევიშვილის „კაქანათი“ (წერილი) . . . . .	12
ი. რევიშვილი—კაქანათი (მოთხრობა) . . . . .	13
წ. ჭუჭუბუკი—სიღად წარმოდგა დღეების სახელები (წერილი) . . . . .	14
გ. თიქაძე—ჩეხოსლოვაკელ მეგობრებთან (ფოტონარკვევი) . . . . .	16
გ. ნეშაძე—გამოიღება თუ არა ქანდაკებები (წერილი) . . . . .	18
მ. მრგვალი—მიყვარს ყველა ცისარტყელა (პოემა) . . . . .	20
დ. ფრუიძე—კოლხი ქალწულის სამარხი (ნარკვევი) . . . . .	22
არაკები . . . . .	24
გ. ზარდალიშვილი—ბეთლები (წერილი) . . . . .	25
გ. გორგაძე—გულმედიან მზარეული (ლექსი) . . . . .	27
იცი თუ არა, რომ . . . . .	27
მ. გომიზაძე—გუნდოვანი (წერილი) . . . . .	29
წ. თიქაძე—სიკვდილი (ქართული ხალხური ზღაპარი) . . . . .	30
საინტერესო თემაზე . . . . .	31
მოკლე ყველაფერზე . . . . .	32
თავისუფალი დროს . . . . . გარეკ. . . . .	4
გარეკანის 1-ლ გვერდზე—„მხარული ზაფხული“, ნახ. თ. ხაშოვანისა.	
ქრნალი დასურათებული მხატვრები: მ. დაუშვილი, გ. თთიბაძის, რ. ცუცქერიძის და თ. ხაშოვანის მიერ.	

**პიონერი**

**7** ივლისი 1952





ნიკოლოზ ხშირინის ძე ტიხონოვი ვაშორენილი რუბი პეტი და ხაზოვადი მწერალია. წეა, სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე ნ. ტიხონოვმა მრავალი მხატვრული პოეტური ნაწარმოებით თვალსაჩინოდ გაამდიდრა და განავითარა დიდი რუსული საბჭოთა პოეზია.

ნ. ტიხონოვი ხალხთა ძიებისა და მეგობრობის მგზნებარე მომღერალია, როგორც საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, იგი დაუსტრომლად იბრძვის საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ნ. ტიხონოვი ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. საქართველო—მისი პოეტური შთაგონების ერთ-ერთი დაუსტრეტელი წყაროა. პოეტ ბშირად ჩამოდის საქართველოში, მოგზაურობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეებში. ქართველი ხალხის, საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების სიყვარულით შეჰქნა მან შესანიშნავი ლექსების ცაკლები: „ქართული ვახუშტული“, „ლექსები თბილისზე“, „ციხარტულა საგურამომოში“, „შობი“.

ნ. ტიხონოვი წერს მოთხრობებსაც. ვაქვეყნებთ მისი ერთ-ერთი მოთხრობის თარგმანს.

ლესა და გმირობაზე ოცნებობდნენ. ყველაფრის მოთავე პაშამ თქვა: — ჩვენ ვითამაშებთ „სევასტოპოლის დაცვას“.

— რა არის „სევასტოპოლის დაცვა“? — ვკითხებ პაშას.

პაშამ დაღვებით გვიპოო პიესის შინაარსი. გვიამბო, თუ როგორ დაესხნენ მტრები რუსეთს, როგორ შემოართყეს ალყა სევასტოპოლს; გვიამბო, აგრეთვე, აღმირალ კორნილოვისა და ამირალ ნახიშვილის ამბავი და ბოლოს თქვა, პიესაში ბევრი იქნება სროლა, ბევრი დაიჭრება და მოკლდებაო.

პაშამ არ გვითხრა, საიდან იცოდა ეს პიესა. ასეთი სახანაობა, აღბათ, სახალხო სახლის სცენაზე ნახა და კარგად დაიმბსოვრა. ბიჭებს პიესა ძალიან მოგვეწონა, გოგოები კი აყვირდნენ:

— ეი, თქვენთვის საინტერესოა,

# ჩუპი მსხირობის ჯგჯუნი

## ნიკოლოზ გიხორიანი

ნახ. მ. დაუშვილისა

ბავშვობისას ავარაკ ჩორნაია რეჩკაში ვცხოვრობდი. მრავალ იყვნენ იქ ბავშვები და რას არ ვთამაშობდით: ომბანას, ინდილობანას, ყაჩაღობანას...

ზოგჯერ ჩვენ თამაში ჩხუბში გადადიოდა, მაშინ ღედები გასაშველულბლად მოკვივდებოდნენ და მთავარ მოჩხუბრებს ყურით გამოათრევდნენ ბრძოლიდან.

ბოლოს ყველა თამაში მოგვეწყინდა და არ ვიცოდით, თავი რით გავკვრითო. ყველაფრის მოთავემ, ჩვენზე უფროსმა ბიჭმა პაშამ, ბავშვების სიერთო კრება მოიწვია. მან ყველაფერი იცოდა და მეტსახელად მცავე წყინისა და ბავაიული ბურაბის პროფესორის ვეძახდით.

ჰოდა, შეგვეკრება პაშამ და წინადედმა მოგვცა, წარმოგდგა დაგვტაო.

— ეი მაგრამ, რომელი პიესა? — კითხეს ბავშვებმა.

— პიესას ჩვენ თვითონ დავწერთ, — გვიასულა პაშამ. ეს აზრი ყველას მოგვეწონა.

დავიწყეთ წერა. ვწერდით ყველანი ერთად, მაგრამ თავიდანვე დიდი დავა ატყდა: გოგოები მოითხოვდნენ, პიესა მოგზაურობაზე იყოს, რომ ვე-

ლურთა ცეკვები ვიცეკვოთო. პიესაში ცეკვების შეტანას გოგოები დაიწყნებით თხოვლობდნენ, მაგრამ ბიჭებმა ომი იჩიეს. იმ დროს იაპონიასთან მიმდინარეობდა ომი და ბიჭები ბრძო-



თქვენ დაიბოცებთ, ჩვენ რალა გავაკეთოთ?

პაპმა შეაჩერა ისინი და უთხრა: — თქვენ მოწყვლები დაიბოცებთ და დაჭრილებს მოუღებთ. ჩამოიფარებთ თეთრ წინსაფარებს, გულზე და მკლავზე წითელ ჭრებებს დაიკრებთ.

გოგონები დათანხმდნენ. გადაწყვიტეს, ასეთი მორთულობა მოევიდნენათ, მაგრამ მაინც ჰკითხეს პაპსა:

— ომის შემდეგ ხომ ვიცეკვებთ? ამის პირობა პაპამ მისცა და თქვა:

— ომის შემდეგ ყველანი ვიცეკვებთ და ბენგალურ მუშხუნებზეაც ავანთობთ.

მუშხობა გაჩალდა. გოგონები წინსაფარებიცა და წითელი ჭრების კრავას შეუღდნენ. ბიჭები კი ჩვირის კაბულეტებს აცეთებდნენ, ამხალდებდნენ ხის თოფებს, დამბანებს, და საწვრილმანო ლქანში აუჯარებელ ფისტონებს ყიდულობდნენ.

ყველას უხაროდა. დედებსაც კი შეეყვან ჩხუბი. ჩხუბისთვის არაფრის ეცალა. ყველა დადინჯდა, რადგან იტყობენ გამოუცხადეს, თუ წესრიგს დაარსდნენ, სცენაზე არ შევიდნენ.

მაგრამ როლების განწვილებისას საქმე ისევ არია. ყველას მთავარი გმირის როლი უნდოდა, მთავარი როლი კი პიესაში არც ისე ბევრი იყო.

მე, როგორც ყველაზე ახატულმა ბიჭმა, ერთ-ერთი გმირის როლი ვიკავებ ხელთ. ოღონდ არ ვიცოდი, რომელი ამერჩია, კორნილოვისა თუ ნახიშვილის. პაპამ მეგობრულად მძიჩია, კორნილოვის როლი შეასრულეთ.

— გემსი, მართალია, ნახიშვილი მთავარი გმირია, მაგრამ იგი ტყვეთი კვდება. კორნილოვი კი ყუმბართი. ყუმბართი სიკვდილი უფრო ლამაზია. მოგვადება მუცელში და დამცემი.

— კი მაგრამ, ყუმბარას როგორღა გავკეთებ? — შოშით ვკითხე მე, — ხომ არ მეტყვიან?

— ნუ გეშინია, არ მოგვალავ, ყუმბარას მე თითონ გავაკეთებ, — მიპასუხა მამა.

ამგვარად დამითანხმა, მეთამაშნა კორნილოვის როლი. მე მეცვა შევიპოვე, რომელიც ჩემს ტანზე პალტოს უფრო ვადა. მხრებზე შესანიშნავი უფროლები მეკეთა. ქამარზე მეკიდა ხის დიდი მეზღაურული ხანჯალი. ქარქაშის მაგივრად შევ ნაქერ-ში ვახვეული საყავრე მქონდა. ქუთი ნაცნობმა გიმნაზიელმა მათხოვა, ვე-

რცხლის ფრთები მოვხსენით და მრგვალი საყარდა გავუყვითეთ.

ჩატრილი ულვაშები ნახშირით და ვიხატე. პაპამ მითხრა:

— შემოდელი ულვაშები, შენ გენერალი ხარ და არა ტრას ბულბა!

წარმოდგენა გამართეთ დიდ ავიანზე, რომელიც სპეტაკისათვის დაგვიომეს. დიდლამა დაყურებელი დაგვესწრო. ამან ისე წაგვახლისა, რომ სცენაზე, ცოტა არ იყოს, ზომაზე მეტი ბათქაბუთქი და ყვირილი მოგვივიდა. ხმა თითქმის ყველას ჩაგვეხლიჩა.

მე ყველაზე მეტს ყვიროდი და მაინც მეცოტავებოდა. სცენა წარმოდგენდა ბასტიონს. სკამებზე გადაფარებული იყო იატაკის საყრდენი ჩრები, სამოვრის საყვამლეები ტყვამფრქვევებად იყო გამოყენებული. მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ავიანი დახურული იყო და სროლით დაყენებული ბოლი პერის სწვდებოდა.

მე გამოვედი ბასტიონზე და ვთქვი:

— ამხანაგებო, ჩვენ უყან დასახვევი გზა არა გავქვს! — და ხელი გავიშარიე ბალისაყენ, სადაც მყურებლები ისხდნენ. ჩემს სიტყვებზე ბაღში ხარხარი ატყდა. მე ვაგბრაზდი, გავიწწოზე ხანჯალი და ჩუმაღ ვთქვი: „სულელები!“ და დავაპირე ამ ფრაზის ხელგამა ვაფორებდა. მაგრამ პაპმა აჩქარდა და შევ ნაქერში ვახვეული ბუთით მუცელში მესროლა. ეს ჩემთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ თავი ვერ შევიკავე და დავიცი.

მტაცეს ხელი და გამათრიეს. გოგონები გარს მეხვიენენ და ვითომ ტროლიდნენ. ცხვირსაოკით თვალებს ისე ოფინდნენ, რომ გულზე დაკერებულნი წითელი ჭვარი არ დაეფარათ.

მე ერთ ხანს წინააღმდეგობის გავაძლე ვცადე. მინდოდა შეიქცა. ვერ ჩემი სიკვდილი აღრეამეთქი, მაგრამ პაპამ წააჩურჩულა, ჩუღდ იყავი. გამათრიეს სკენიდან, შემოყვანეს აივნის განაპირა ოთახში და დამავად იატაკზე, თვითონ კი დაბურუნდნენ სკენაზე.

იმ მძურესა და აღურაურში მესმოდა პაპის ხმა: „მოკლეს ადმირალი კორნილოვი“. მე ძალიან ახარტიანი ბიჭი ვიყავი, არ შემეძლო იატაკზე მშვიდად ვმჯდარიყავი მაშინ, როდესაც სცენაზე თამაშობდნენ. მიითუმეტეს, რომ სარკეში ძალიან ლამაზი ჩანდა ჩემი გენერლის ეპოლეტები. მართალია, ცალი ულ-

ვაში ლოყაზე გათხანნილ მქონდა... მაგრამ მაინც კარგი ვიყავი... მაგრამ არა შემეძლო უმოქმედოდ ვიჯიდა. ავიღე კოცეტის ჩაქუჩი, რომელიც კეთილი ცეცხლი, დავეყრდენი და გავიხედი სცენაზე, როგორც დაჭრილი შემობრძი.

ბაღში ისევ ახარხარდნენ. შევამჩნიე, რომ ყველაზე მეტს იციონდნენ



ისინი, ვისაც სპეტაკში მონაწილეობაზე უარი ვუთხარი.

სცენაზე ჩემმა გამჩინებამ ყველა შეაკრიო. ისინი განცივრებული შეჩერდნენ. მე ვთქვი:

— შეცდომია, ადმირალი კორნილოვი კი არ მოუცლავთ, დაჭრილია! მინდოდა ვანმერჩიო მზრანებლობა, თუმცა ვგწონობდი, რომ ყველაფერს აფურედი, მაგრამ ვიმეორებ, ახარტში ვიყავი შესული და უკვე ვერაფერი გამაჩერებდა.

მაგრამ პაპმა ჩემზე ეშმაკი გამოდგა, ის მხოლოდ ერთი წუთით დაბნა, მერე დაავლო ხელი თავის წყვეულ ბურთის და ისეთი ძალით მიხლონი მეცელში, რომ ამ მოულოდნელი ხრიკისაგან ისევ დავიცი.



**პიონერულ ნაკვეთად იცავ**

მამაკორის პირველი სკოლის ეზოს გადაღმა კომუნისტების ჩაის პანდო. ცუბი გადგომულს. სოლომონ ბავიშიამ და მისმა მეგობრებმა პანდოციის ერთ კუთხეში ცალ-პარდებში დაფარული ჩაის პანდოები შენიშნეს. თურუნე შეიძლება, წლების განმავლობაში გამო-უყენებელი არებოდა ეს ადვილი კომ-მუნისტების. ნაფქარი, რაშეუღეს საბ-პოს გაუზიარეს. რაშეუღეს საბეჭო — უფროს პიონერებლებს და კაბ-სებს ბუჭებში ცალ-პარდებშიაგან. მა-ღე და შეტარე გადმოიღო ჩაის პან-დოების მწკრივი მოვიღო და გაწმენდილ-ჩაბარეს კომუნისტებისა, შემდეგ მი-უთვიონ „სუბურნადელს“ და პიონერულ-ნაკვეთად გამოცხადეს. ამ ზღვრულს პიონერთა განკარგულე-ბაშია ნაკვეთი. ისინი ჩაის უბე მისცავენს შიადებენ.

**შარხის**

**მუშაობის მიმდინარეობა**

რუჯაზე მშობლიური სოფელი ზღვის-გელაღეთია გადაშლილი. ადგილი ედი-ნეს სახლი, „მეცხოვედების ფირმა“, „სახეშვი ბაღი“ და ა. შ. — მონონე-ნავთ სოფელში აველა საგლეხსში ად-გალი რუჯაზე ბავშვებს. ეს რუჯა გო-რის რაიონის კარაღლის სასული-სკოლის პიონერთა მოქმედების ზონისაა. ფერაში მისახელდა კეთილმო ერიო-ღლე კლე დომობლი. ამ ღღეს „ფერ-მის ღღეს“ ექნაირ ბავშვები. ერთ ღღეს ახალგაზრდა მწველეს ვე-რა რუჯაუციებს ეწვივნენ. მიხვლისაინ-ვე ძროხებს საყვები გაუზიარეს. ფერმა დალადავს, შემდეგ კი ფერმის გაზოი-ც გამოშვებს. — უჩრაღბეს არიან ღღისეული ცელა-ვერსებმა. — ამბობენ მადლიერი უფ-როსებმა ბავშვებზე. აქებენ ეღრა ჩუბ-რუციებს, როსა აღუშვოდს, მარანე კა-კალაშვილს და მათ მეგობრებს. ხალხი შეაქვს ბავშვების მოსვლას ფერმის მუ-შაობაში.

პაშა პირველი გამოიქცა ჩემკენ ყვირილთ:

— ახლა ნამდივლად მოკლეს!  
ამჯერად უფრო უხეშად გამათრი-გს. გოგონები ახლა ტირილის ნაცე-ლად სიცილით იხრჩობოდნენ.  
ყვედე თოხაში თავგზაბანეული. აზრები მერეოდა. ბოლი ცხვირში მიღირებებდა. ვიდაცის დედად დაი-ბახა:

— ბავშვებო, ნაკლებად ისრო-ლეთ, დაიხრჩობით!  
ვერანობდი, ფინალი კარგი უნდა ყოფილიყო, ამიტომ გადაეწყვიტე, მესამედ გავსულიყავი სცენაზე, რას ვეარგავდი.

მგერამ პაშმა თითქოს იგრძნო ჩემი გადაწყვეტილება, შემოვარდა ჩემთან და მითხრა:

— აღარ გაბედო სცენაზე გასვლა!  
— რატომ? — ვუთხარი მე. — თქვენ თამაშობთ, მე კი იატაკზე ვუბო-ვარ. შემოძლია თუ არა, მესამედ მო-ვეკვდე?

— არ შეგიძლია, იდიოტო! — მით-ხრა პაშამ. — გმირები სამჯერ არ კვდებიან, გმირი ერთხელ კვდება. შენ უკვე ორჯერ მოკვალს. თუ სცენაზე მესამედ გამოეხეტე, მაშინ გმირი კი არა, სულელი იქნები! ჩვენ

კი ფერია გვაქვს და არა ცირკი. გესმის, რეგვენო?

ვიჩქე გამოშტერებული. მართალი იყო პაშა! სამჯერ სიყვილი ვინ გაი-გონა, გმირი ერთხელ კვდება — ნამ-ღვილად ასეა...

ძალიან საშუხარო იყო, მგერამ ვერაფერს გააწყობდი.

მაშინ მე გავიხადე ემოლტებიანი პეჯაკი, მოვიხსენიე ხანჯალი. მოვიხა-დე ქუდი, უკანა ვასასვლელები გა-ვედი ბაღში და მასურებელთა შო-რის დაეჭვი.

ხოლო როცა სპექტაკლი დამთავრ-და და ტაშმა იგრიალა, ყველანი ყვიროდნენ:

— კორნოლოვი, კორნოლოვი სალ-ლაო!

მე რატომღაც შემრცხვა, მგერამ არ მომეწინენ და მიძულეს, ავღლ-გარიყავ და თავი დამეკრა.

შემდეგ აინთო ბენგალური შუშბუ-ნები, ყველანი ცეკვაოდნენ, სხვაუ-მეტს ბტოდნენ გოგონები და არაფ-რით აღარ აპირებდნენ მოეხსნათ მკერდზე წითელი ჭვრით დამშვენე-ბული წინსაფრები.

თარგმნა  
**დაჩბეჯან გორდელაძემ**

**ს**კოლის ბიბლიოთეკის თაროზე დევს წიგნი, თეთრფადაცრული — წიგნი და ზედ მსხვილი, ბავშვური ასოებით აწერია:

«ა. გაივარი. თემური და მისი რაზმი. 1944 წელი».

იამ ეს წიგნი ერთი წლის წინ გამოიტანა ბიბლიოთეკიდან. გზაში არ დაუწყია საჩრვეის კითხვა და ნახატების თვალთვლება. როგორღაც ყველთვის ეწინააღმდეგებოდა გოგონას, რომ ყოველი კარგად დახატული სურათი წინააღმდეგობა გაუქმებდა ნაწარმოების შინაარსს.

ახლაც სწორედ ასე მოიქცა. წიგნი სულმოუთქმელად წაიკითხა ბოლომდე და შემდეგ მაგიდაზე დადო ფრთხილად. შთაბეჭდილებით გაბრუნებული ერთხანს ფანჯარაში იყურებოდა. გარეთ მზე იყო. აღმჩინაბები მიდი-მოდიოდნენ ქუჩაში. ზოგს მხიარული სახე ჰქონდა, ზოგს სერიოზული და საკმაოდ, ზოგს კიდევ — მოწყვნილი ან მოღუშული.

ისინი ასე დადიოდნენ მამინაბ... თემურის დროსაც ეს პატარა ბები კი, თავის რაზმით, ცდილობდა მათ სახეებზე ამოკითხა მათივე გასაჭირი და შემოღების დაგვარება დახმარებოდა.

იას თითქოს შემურდა თემურის ბედი, ტანისა ბედი.

«დღეს ვილას სჭირდება შენი დახმარება»... — გაიფიქრა მან, მერე უცებ, ამას წინათ საბავშვო ჟურნალში დაბეჭდილი ნარკვევი — «თემურელები» გააბხსნდა და შერცხვა. რიცა ეს ნარკვევი წიგნითაა, მაშინ არ იცოდა იამ, თუ რატომ ეძახდნენ ის ბავშვები თვითონ თავს თემურელებს, რომელიც მარტო-

ხელა ოჯახებს ესმარებოდნენ, ქუჩებში წყსრივს იცავდნენ და თვალყურს ადევნებდნენ უბნების და ეზოების სისუფთავეს, არ იცოდა ვინ იყო თვითონ თემური...

ახლა კი, მასაც ხომ შეუძლია ერთ-ერთო ასეთ რაზმში ჩაეწყოს, ან ჩამოაყალიბოს...

მაგიდიდან წიგნი აიღო და გადაშალა. პირველ გვერდზე ბატონებს უნდა ნაწერს მოჰქრა თვალთ:

«ნათელა — ჯემალი = 21!»

უჯრიდან საშლელი ამოიღო და წარწერას გადაუსვა. დიდ ხანს შლიდა მონ-

# თეთრული წიგნები

ღომებით და გულმოდგინედ ყველაფერი კარგად წაიშალა, მხოლოდ კვადრატის იხე მაგრად იყო ჩაწერილი, ფურცელი ძლიერ გათხვლედა და გაიხა.

— არამზადები! — თქვა გოგონამ, — ნეტავი თუ ფიქრობენ მაინც, რას აკეთებენ?

გასუფთავებულ ფურცელს ხელი გადაუსვა და უცებ მოულოდნელმა სისხარულმა გული აუტერა:

«განა ეს საკმეც თემურული არ არის?»

— თემურულია, — თქვა ბებო მტკიცედ, — ჩემს ადგილას თემურც ასე მოიქცეოდა.

ამის გაფიქრებამ ძალია შემატა. შლიდა ფურცლებს და ასუფთავებდა ათასგვარი მინაწერებისა და ჩანახატებისაგან.

ვიღაცას დაუსწრებლად «ემუშავა» წიგნზე და მხატვრის მიერ შესრულებული ნახატების გვერდით, თავისი «შედეგები» შეეჭმნა.

ასუფთავებდა ია ფურცლებს, შლიდა და ასუფთავებდა... თვალწინ ედგა მთლიმარი ბიბლიოთეკარი დეიდა ნინო, რომელიც მთელ დღეს ბავშვებთან ატარებდა და გულმოდგინედ ესმარებოდა გაუგებარი ადგილების გარკვევას.

წიგნი მაგიდაზე დადო და კარადიდან თეთრი ქაღალდი გამოიღო, შუაზე გახია, გვერდები მაკრატლით ჩაუჭრა და წიგნს შემოაქრა. შემოაქრა ისე სათუთად, როგორც საკუთარ სახელმძღვანელოს აკრავდა ხოლმე. მერე სატელეფონო ქარწერი გაუკეთა, ხელო შეიგნით, ქაღალდის გადანაკვეცი მიაწერა:

«ია ბალიაშვილი, 51-ე საშ.»

სკოლის VI კლასის მოსწავლეა. მას შემდეგ გავიდა ზუსტად ერთი წელი.

ბიბლიოთეკის თაროზე კი ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან წიგნები, თეთრფადაცრული წიგნები, რომლებზედაც მსხვილი, ბავშვური ასოებით აწერია ავტორი, ნაწარმოების სახელი და გამოცემის წელი.

ბ. ლაბაძე

ია ბალიაშვილი ბიბლიოთეკაში, თავის ხაყვარულ წიგნებთან.



ფოტო  
დ. იაკობაშვილისა



# უკანასკნელი კაცური

მივი აპრაიმოვილი

მომხრობა

ნან. გ. თოთბაძისა

საკლასო ოთახიდან გამოვიდა, დერფიანი ხტუნვით გაიარა, კიბე ასკინკლით ჩაირბინა, ერთს დაეჯახა, მეორეს ქუდი მოხადა და გადაუდღო. შემდეგ, ეზოში მოთამაშე ტოლებში გაერია, ამყოლი და მხარის დამჭერი რომ ვერაზინ ნახა, მეშვიდე კლასელებთან მივიდა. ლახტს თამაშობდნენ. წრეში შევარდა, ქამრები მოიტაცა და გაიქცა. ბიჭები დაღეფნენ. სკოლაში შეირბინა, თავის საკლასო ოთახში შევარდა და კარები ჩაექცა. ჭშინავდა, თან იცინოდა. ბიჭები მიაწყდნენ ჩაექტლ კარებს.

— გაგვიღე.  
— დაგვიბრუნე! მალე ზარი დაირეკება!  
მუჭარით რომ ვერაფერი გააწყვეს, შეტხვეწნენ:  
— გაგვიღე, რა, ბეგლარ!  
— ნუ გემინია, არ გერჩით არაფერს!  
— გეხვეწებით, შენი ჭირიმე!..  
ზარი დაირეკა, მეექვსე კლასის წინ ოცდაათამდე ბავშვი შეტროდა. ბეგლარმა არ იცოდა არც კენა: კარი გაუღო — გალამასებული ბიჭები დაესეთოდნენ, არა და მთელ კლასს როდემდე გააჩერებდა ბარტო.  
— თუ ხელს არ მახლებთ, მოგცემთ!  
— გააღე ბეგლარ, მასწავლებელი მოდილი! — დაუბახეს ამხანაგებმა.  
კარი გააღო. ქამრები უცხად გადაყარა და მერხისაკენ გაიქცა. შემეშაყვალსელები ერთბაშად შეცვივდნენ ოთახში.  
— ნულა შედიო! — იძახდა მასწავლებელი, რომელსაც საკონტროლო წერის რვეულები მოჰქონდა.  
ბავშვებმა ადგილები დაიკავეს. დაწყნარდნენ.  
მასწავლებელი შემოვიდა.  
— დასხედით! — თქვა და ეურნალი გადაშალა. სისს ამოკითხვას შეუდგა. — მზათა ხართ წერისათვის? — იკითხა ბოლოს.  
— დიახ!  
— ვინ არიან დღეს მორიგეები? რვეულები დაარიგონ!  
ორი მოსწავლე გავიდა.  
ბეგლარმა სამელზე და კალამი ამოიღო. წინ მსხომში ბიჭები მოახედა.  
— აბა, თქვენ იცით! — შეახსენა და გასწორდა.  
მორიგემ, ნაზი ჩიტიშვილმა, რვეული მოუტანა. ბეგლარმა გადაშალა. „ორიანი“ ეწერა: „ვაი... ნუთუ კიდევ?!“  
ხალათის კალთაზე მოქამეს: ვთერი ხელებისა და ტურების მოძრაობით ანიშნებდა: რა გიწერიაო. ბეგლარმა ხუთივე თითი დაანახა. გოგონამ თავი გააქნია: არა მჯერაო.  
მასწავლებელი დაფავე წერდა. მობრუნდა, კლასს გადახედა, ცარციანი ხელები გაიბერცა და თქვა:  
— ახალი გვერდიდან დაიწყეთ. თვე, რიცხვი, საკონტროლო წერა, ნომერი უსა და ესა... შემდეგ გამოტოვებთ ხაზს და დაწერთ: „სომან-ალს თავგადასავალი“. კვემ, ფრჩხილებში მიუწერთ: მოკლე შინაარსი. გასაგებია?  
— დიახ!  
— შეუდგით წერას!  
კლასი აფუსფუსდა.  
ბეგლარმა წერა გვიან დაიწყო.  
ვაგას და თამაზს დაპირება დაავიწყდათ. რვეულებს ზედ



გადაეფარნენ. ბეგლარმა მერხტემეფი ფეხი გაყო, ვეჯას ქუსლზე მარტაკა და მოახედა.

— რას შერებთ, რვეულები დამანახეთ! — უნრჩულა. ვეჯამ რვეული მოუწია და ირიბად დაჯდა. ბეგლარმა რამდენიმე წინადადების გადაწერა მოასწრო. მასწავლებელმა ჩამოიარა, ვეჯა გააფთხილა: — სწორად დაჯექი!

ვეჯა გასწორდა. ახლა თამაზი შემოტრიალდა. ბეგლარმა რამდენიმე წინადადება მისგანაც გადაიწერა. მასწავლებელი მოულოდნელოდ მიბრუნდა. ბეგლარს თვალი შეასწრო.

— ფშატაქი! მერე შენიშვნაზე, რვეულს ჩამოგართმევ! — არა, მასწავ... ჩემით ვწერ... — თქვა და ფეხზე წამოდგა. — დაჯექი!

მასწავლებელი მაგიდასთან მივიდა. ჟურნალის თვალზე-რება დაიწყო. კვლავ არიოლდა ბეგლარი. მოსვენება დაუკარგა ბიჭებს. გაფაციცებით შეუდგა გადაწერას. მასწავლებელმა ისევ შეამჩნია. ბეგლარმა უმაღლეს ჩაჰკიდა თავი. რვეულს დააეცქერდა. თანაც კალამი ისევ აამობრავა, ვითომ წერდა.

— მოუტაკათ! — თქვა მასწავლებელმა და შერხებს შორის ჩამოიარა!

ბეგლარს თითქოს ნემსებმა დაუწყო ჩხვლეტა. არ ვარ-გებულა სხვის იმედზე ყოფნა. თემა რომ იცოდეს, ხომ დამშვიდებით დაწერდა? დღეს თუ როგორმე გადარჩა, ბეჯათად ჩაუვლდა წიგნებს, სიტყვა-სიტყვით ისწავლის.

უკანა მერხისაკენ მიბრუნდა. ქეთინი და გივი მშვიდად წარდნენ. ბეგლარმა კალამი იმთა სამულენში ჩააწყო და გივის ნაწივს დახედა. როცა წინადადება მთლიანად ამოიკითხა, იმ წამსვე წერას შეუდგა. მერე ისევ მიბრუნდა და ახლა ქეთინის რვეულს გადახედა.

— ფშატაქი!

ბეგლარი გველხაბეგინივით შეერთა და უმაღლეს გასწორდა.

— რატომ იხედები სხვის რვეულში?

— არა, მასწავ... მელანში ჩავაწვი.

— შენც ხომ გაქვს?

— ჩემი უფერულია...

— მეორედ აღარ შევნიშნო!

— არა, — თქვა და საწერად მოემზადა. დაფიქრდა. ამ ლაპარაკში სულ დაავიწყდა, რაც წავიკითხა. კარგა ხანს იფიქრა. ძლივს გაიხსენა.

გაკვეთილი მიიწურა. უმეტესობამ წერა უკვე დაამთავრა. რვეულები დახურეს და მელან-კალმები შეინახეს.

— ვინც დაამთავრეთ, რვეულები შეკრიბეთ! — თქვა მასწავლებელმა.

ბეგლარმა თამაზის ნაწივთან დასჯანასანელი აბზაკი ამოიკითხა:

ბიჭებმა რვეულები დახურეს და მასწავლებელს გადასცეს.

წინადადების ბოლო სიტყვები ისევ დაავიწყდა. დაფიქრდა. თავს ბალა დაატანა, თავისით რაღაც მოიფიქრა.

ზარი დაირეკა. კლასი ამობრუნდა, ახმურდა. ბეგლარს გული აუტკრიო-

ლდა. რვეული დახურა, მასწავლებელს მიუბრუნა.

მასწავლებელმა რვეულები აიღო და კლასიდან გაქცდა.

ბეგლართან ეთერმა და დლომ მიირჩინეს. — როგორ დაწერე? — კითხვა ეთერმა.

— აი, ასე! — ცერი შემართა.

დლომ გადაიკისკისა. — რა გაცინებ?

— ვიცით, როგორც დაწერე. — რა იცით?..

გოგონები უკან იხედნენ, სიცილით იგუდებოდნენ.

მეორე დღე მისამე გაკვეთილის ბოლო წუთებია. მასწავლებელი წერის ნიშნებს აცხადებს. ბავშვები წყნარად სხედან და გამოყოფილები იღიმებიან. ზოგს „ხუთიანი“ მიუღია, ზოგსაც — „ოთხიანი“.

ბეგლარს გული გამაღბით უფანქვალბებს. ვეჯასაც „ხუთიანი“, თამაზსაც, ქეთინსაც, გივისაც. არც ბეგლარი იტყვს გულს „ხუთი“ თუ არა, „ოთხი“ ხომ ნაღდი იქნება? — ფიქრობს და მერხის იდაყვით ცერდნობა.

— ფშატაქე ბეგლარი! — ამოიკითხა მასწავლებელმა და ბეგლარს გადმოსხდა, გაუღიმა. ბეგლარი უფრო გამხვევდა. წელში გასწორდა. მერხის საწურგეს მიეყრდნო და თვითონაც გაიღიმა.

— რა მიიღო, მასწავლებელო? — დაინტერესდნენ ბავშვები.

— „ორი“.

კლასი დადუმდა. ყველამ ბეგლარისაკენ მიიხედა.

გული მძლავრად შეუქანდა. მიუღს სხეულში ჟრუანტელმა დაუარა და გაფიქრდა.

მასწავლებელს შეეცოდა სახტად დარჩენილი ბავშვი და უთხრა:

— გინდა, წავიკითხო შენი ნაწერი?

ბეგლარი თავგადასხეული ადგა. მასწავლებელმა მისი რვეული აიღო და გადაშალა.

— ცურადღება! აი, მოისინიეთ! მაშინვე შეწვდა ფუსფუსი.

„მაშინვე ტყიდან ურემი მოჰყავდა. პატონმა ხელზე მოსამსახურებდალ წავიყვანა. ურემი დაღმაროზე დაქანდა. ჩვენს პატონს მღვდელი ესტუმრა კასეთიდან. ხარებმა ურემი გელარ შეაწერეს...“

ბავშვები უსმენენ. ზოგი იღიმება, ზოგი სიცილს იკავებს. ბეგლარი თავდახრილი დგას.

დლომს კისკისზე გამოფხიზლდა. დანარჩენები ხარხარებდნენ. მასწავლებელმა კითხვა შეწყვიტა.





ჭერ კიდევ წინასტორიულ ეპოქაში ისწავლა აღმაინა ტანსაცმლის დამზადება. ტანსაცმელს ამზადებდნენ არა მარტო ცხოველთა ტყავისაგან, არამედ, ბუნებაში არსებული ბოჭკოვანი მასალებისაგანაც. ჭერ ამ საქმისათვის მატყლს იყენებდნენ, შემდეგ აღმაინმა უკვე მცენარეთა ღეროებისაგან, ბამბის თესლისა და სელის ბოჭკოსაგან დაიწყო ტანსაცმლის დამზადება.

ბოჭკოსაგან ქსოვილის დამზადება ჭერ კიდევ 5000 წლის წინათ ცოდნიათ.

რაც უფრო იზრდებოდა აღმაინის ცხოველების დონე, მით უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება ქსოვილებზე და ტანსაცმლისათვის საჭირო სხვა მასალებზე. მაგრამ ბოჭკოვანი მასალის რაოდენობა ბუნებაში განსაზღვრულია, თანაც მათი დამუშავებაც მეტად შრომატევადია. მილიონობით მუშახელი ჩამბული ბამბისა თუ სელის მოყვანაში, ცხვრისა თუ აბრეშუმის ჭიის მოვლაში. დედაიწრის ზურგზე უხარბაზარი, ნაყოფიერი

ადგილები უჭირავს ბამბისა და სელის ნათესებს, ცხვრისა და აბრეშუმის ასევე დიდ სიმრევებთან არის დაცემირებული აბრეშუმის ჭიის მოვლა. ამასთან აბრეშუმის ჭიის მოშენება მხოლოდ იმ რაიონებში შეიძლება, სადაც თუთა ხარობს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ თუთა ნაზი მცენარეა, თბილი ჰავა უყვარს და ამიტომ ყველგან ვერ ხარობს.

და აი, კაცობრიობის წინაშე დაოსახა ამოცანა—გამოძიებნილო ბოჭკოს მიღების იფი და იოლი საშუალება.

ეს ამოცანა ქიმიამ გადაჭრა. XIX საუკუნის ბოლოს, გამოჩენილმა რუსმა ქიმიკოსმა მენდელეევმა იმ ხანებში ახლად მიღებული ვისკოზის ხელოვნურ აბრეშუმს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. მაგრამ მეფის რუსეთის პარობებში ქიმიას არ შეეძლო გადაეჭრა ხელოვნური ბოჭკოს წარმოების რთული ამოცანები. ჩვენს ქვეყანაში მრეწ-



ხაფხულია. გივას ასვენებენ შოვში, ფიჭვისა და სოჭის ნაშვილ სამეფოში.

სად ჭანჭახის გრგვიანვა გამოღმებით ისმის, მიერატრა გივას მეგობრები მისი.

უმეგობროდ, ალბათ, არ არსებობს მწერიც, მიტომ არის ტოლებს რომ ეუფავანით წერილს.

გივა ბიჭუკა სწერა, როგორ სდია ღალღას, შოვის აბლოს ხევში ზევი როგორ გალღავა;

## უმისაგათომ ბარათი

ხ. პერახალიძე

გადარეულ კალმასს როგორ უღებს ანკესს, მამისონზე თოელი რატომა ჰვავს სარკეს.

როგორ დაიჭირა და გაუშვა მწვერი. მამაკებთან ონში ბიჭი გზავნის წერილს.

დააწემა. კონვერტს დააწერა «ონი». ამას იქით სავეი ცუდად არის მჭონი.

გახლავთ ქალაქ ონში ერთი გრძელი ქუჩა, რომ დაღვები თავში, ბოლო არც კი უჩანს.

იმ ქუჩაზე ერთგან თქვენ შამჩნევთ წწორებს, მეგობარი მისი იქვე ცხოვრობს სწორედ.

იმ ქუჩაზე გივა ვის არ იცნობს, რომელს, ვერ იხსენებს მხოლოდ ვერც ერთ სახლის ნომერს.

ისიც აღარ ახსოვს, თუ რა ჰქვია ქუჩას. ამოღენა წერამ ჩაუარა ფუჭად.

მისამართის ნაცვლად ხომ არ დასწერის წწორებს, ცხადი არის, მართათ ვერ უგზავნის სწორებს.

ჩემი თვალით ვნახე, ახლაც სახლში უღვებს, მიეშველეთ, მამებო, თუ მალთან გსურდეთ.

ჰოდა, ხომ ჰვავს ივავს, რაც შევთხვავა გივას? არ სჭირდება კითხვა, რა თქმა უნდა, კი ჰვავს!

ველობის ამ დარგის განვითარება მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხერხდა.

უახლოეს ხანებამდე ქიმიის ორი განსაზღვრა ჰქონდა: ორგანული და არაორგანული ქიმია. დღეს კი მათ მიემართა — „ლილი ქიმია“.

„ლილი ქიმია“ ჩვენი თვალწინ შლის ფრთებს, რუსთავში მუშაობს აბრტექუიანი ქარხანა; ამ ქარხნის შიგრ გამოშვებული მინერალური სასუქი ჩვენი არესპუბლიკის, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, სტავროპოლის მხარის, თურქმენეთის საკომუნისტრო მინდვრებს ანოუიერებს.

გამოთვლილია, რომ ყოველი ტონა აზოტის სასუქი ხორბლის მოსავლისას 15-20 ტონით ზრდის, კარტოფილისას — 120, შაქრის ქარხნისას — 140-160 ტონით. მართალია ციფრებიც კმარა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი ამოცანები დგას რუსთავის აბრტექოიანი ქარხნის წინაშე.

წლებულ ქარხანაში მწყობარში ჩადება კაპიტალისტების ახალი საექტრო. იგი იხედულებს მიაწვდის სინთეტური კაუჩუკის ქარხანას, რომელიც რუსთავშივე აშენდება. ეს საწარმო დღე-ღამეში რამდენიმე ათეულ ტონა კაპრონის აბრტექუმს გამოუშვს. რუსთავში უკვე კაოვალ ჩვენს მთავარი კორპუსის ექვსსართულიანი შენობა, ქიმიური კორპუსი, სასკოვი და სხვა სააქტროები.

თიხური კაპრონი აბრტექოვან ქარხნიდან 1500 მეტრი სიგრიბის ეს-



ტკალით გადმოვა. გავარაგებული ნედლეულის ასეთ გარძელ მანძილზე უწყვეტ ნაყადად გადატანა საბჭოთა ეკონომიკური პირველად რუსთავში განხორციელდება. რუსთავის ქარხანაში მიღებული კაპრონის ძაფი ალუმინზე 3,5-ჯერ, სპილენძზე 1,5-ჯერ მუარო იქნება და თითქმის რკინის სიმაკრე ექნება.

კაპრონის ძაფს არც სინესტინა ეწინაა, არც — დაობების, რუსთავის ხელოვნური აბრტექუიანიკან მიქსოვრის ლამაზ ტანსაცმელს, წინდებს და ათასგვარ სხვა ქსოვილს; დაწმალდება კაპრონის ბადეები, რომლებიც წარმატებით შეცვლიან აქამდე ზმარებულ ბადეებს. „რუსთავის“ მარჯის სინთეტური ბოჭკო საბურავების წარმოებაშიც იქნება გამოყენებული...

ხელოვნური ჰაერის შესაქმნელად ქარხანაში იდგმება კონდიციონერული ჰაერის გამოიმუშავებელი დაწარმვა. სააქტროების საბურავები

წალის ცივი ნაყადავით ვაგრილებ-

ვა. ქართულ „ლილი ქიმიას“ ბევრი მეგობარი ყავს კომკავშირელებისა და პიონერების სახით. ისინი დიდ დახმარებას უწყვენ მშენებლობას, ქარხნის ტერიტორიაზე, ერთ პატარა ოთახში, შეფების შტაბია შექმნილი. ეს შტაბი მშენებლობის პირველ დღეებშივე ჩამოყალიბდა. წინ კიდევ ბევრი საქმეა, მრავალი წინაღმდეგობა და სიძნელეა დასაძლავი. შეიღწეულის ამ შესანიშნავ მშენებლობაზე 400-მდე კომკავშირელი მუშაობს.

ყოველწლიურად იზრდება რუსთავი. ვაგი კიდევ ცოტა დრო და რუსთავის სინთეტური ბოჭკოს ქარხანა ჩვენი ქვეყნის მრავალ ფაბრიკას მიაშარავებს ხელოვნური ძაფით, ქსოვილითა და სხვა ნაწარმით.

რ. დავიდივი  
რუსთავი.



ახალი ხანებისა თუ მოვლენებისათვის ახალი სახელება შემოხვევითი როლი იქნება. სწორად მათ ძველ სიტყვებს შეარქმევნ, რომელთაც ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასეთ შემთხვევაში შენებერებაში უპეტახედ ძველებსწინდელ და

დაიხორციელდეს იყენებენ. ასე მაგალითად: სიტყვა „რეზინა“ ბევრად ადრე იხმარებოდა, ვიდრე ადამიანი კაუჩუკის სახეზე გაიგებდა რა მის და მისი რეზინის მიღებას ისწავლიდა. „რეზინა“ — ლათინურად და ბერძნულად ფსხის ნიშნავს.

ს ს ს ს ს

ასე მოუვიდა სიტყვა „ანტენასაც“. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მიმდებარე მხოლოდ 1845 წელს იქნა გამოგონებული, რუსი მეცნიერის კობოვის მიერ, ამ სიტყვას უკვე ორი ათასი წელია ხმარობენ. მაგრამ მისი მნიშვნელობა ძველად სხვა იყო. ახლა ზოლოდები „ანტენას“ ცხოველთა მგრანობიარ ბუნებას უღვრებენ უწოდებენ. უფრო ადრე კი სიტყვა „ანტენას“ რომელი მულაურები ხმარობდნენ, რომელია დიდ

სადგამშია ვებზეც აღმართული იყო მაღალი ანა. საიდანაც მოთავითავლენი გახდომის აყავალიტებდნენ. ასეთ ანაზეც სხვა შეივალაურებს „ანტენას“ უწოდებდნენ.

ს ს ს ს ს

ბერძნულა მითოლოგიაში, თებს ახლოს, რომელზეც ცხოვრობდა სფინქსი, მას სახე და მკერდი ქალისა ჰქონდა, ტანი ლომისა, ფრთები კი ფრინველისა. სფინქსი მოუხურს გააჩერებდა. ამოცანას ეტყოდა და, თუ ვერ გამოცნობდა, ქალებდა.

ახლა, რაიმე მწელი, ვადაურელი ამოცანის წინაშე რომ დგას ადამიანი, იტყვის ხომლენ: „სფინქსის ამოცანა მაქვს ვადსაქრელი“, ე. ი. საიდუმლოს, გა მოუცნობის, გაუგებრობის წინაშე ვდგე ვარა.



ნუგზარ ნოზაძე და  
ედიშერ ზურაბიძე

# ჩვენ დავეებოხკლით

დიდუბის პანთონთან ახლოს დგას ქვის სამსართულ-იანი შენობა, რომელიც ყველაზე ადრე ილიძეებს მიეღეს უბანში. ყოველ დღია დაიქუების პიონერული საყვარი და რამდენიმე წუთის შემდეგ წითელყელსახვევიანი გონებისა და ბიჭების მზიარული ჟივილ-ხივილი აახმარებს მზიამოს. ბავშვებს ბედნიერი სახეები აქვთ და ძალიან გვანან ერთიმეორეს. უკვე ოთხი წელია, ეს ბავშვები აქ ცხოვრობენ სკოლა-ინტერნატიში, რომელიც 1958 წელს გაიხსნა და პირველი იყო ჩვენს დედაქალაქში. ამიტომაც ჰქვია მას თბილისის პირველი სკოლა-ინტერნატი.

ინტერნატის მისაღებ ოთახში, მაკადაზე ცისფერყდია-ნი ალბომი დევს, რომელშიც მოთხრობილია ინტერნატის ცხოვრება. თავფურცელზე ღამაში ასოებით წერია: „ასე დაიწყო ჩვენი ცხოვრება“. პირველ გვერდზე კითხვულაობთ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბავშვებო!“ იქვე ფოტოსურათია, - ორი თვალენათეული ბავშვის სურათი. მათ ერთმანეთისათვის ხელი გადაუხვევიან და ილიმეზიან. ქვეშ წარწერაა: „ჩვენ დავმეგობრდით“. ესენი არიან მებუთვლასულები—ნუგზარ ნოზაძე და ედიშერ ზურაბიძე. მათი მეგობრობა აქ, სკოლაში დაიწყო. თავკვდა-პირველად ერიდებოდათ ერთიმეორის, დაღონებულნიც იყვნენ, ეუცხოებოდათ ყველაფერი.

ერთხელ, როცა ყველა თავის საქმით იყო გაართული, მოწყენილი ედიშერი ფანჯარასთან მიმდგარიყო მარტო და შორს იცქირებოდა. იქნებ დედა მონეტრა ედიშერს?

ნუგზარმა შეამჩნია ამხანაგის დაღონება, მივიდა, გვერდით დაუჯდა და გამოუღაპარაკა. ედიშერი გამოცოცხლდა და მალე ისინი ერთად შეუდგნენ გაკვეთილების მომზადებას. იმ დღიდან პატარა მეგობრები უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ, მერე სხვებსაც დაუახლოვდნენ, საქმიოაც გაერთინენ. შაბათობით შინ მიდიან შშობლებთან სტუმრად. ორშაბათს კი სკოლაში დაბრუნებას ჩქარობენ. ორი დღე, მეგობრებისა და მასწავლებლების უნახავად გატარებული, მათთვის დიდი დროა.

სკოლა-ინტერნატს აქვს კერამიკული „ქარხანა“, რომელიც ძალიან უყვარს ყველას. თავისუფალ დროს თითქმის მის ყოველთვის ნახავთ აქ ედიშერსა და ნუგზარსაც. ეს არის მათი საკუთარი ქარხანა, რომელსაც ჰყავს „ღირექტორი“—ელიზბარ კაკაბაძე, „მოადგილე“—ჯემალ ნაკაიძე, „მუშები“—ილია ცაცაშვილი, გიორგი პატარაია, გივი უსტიაშვილი და სხვები. შარშან რესპუბლიკურ გამოფენაზე დიდი მოწონება ხვდათ წილად ამ „ქარხნის“ ნამუშევრებს და ჯილდოდ სიველიც მიიღეს. ბავშვებს მოსწონთ ეს სამუშაო, რომელიც მათ ფანტაზიისა და გამოგონებლობის დიდ გასაქანს აძლევს.

ინტერნატს მშვენიერი სადურგლო-საზეინკლო სახელისნოც აქვს. გაკვეთილების შემდეგ ბავშვების ერთი ნაწილი აქ იყის თავს, საქმიანად ჩაიკრიკებენ დაზგებს და ისე იტაცებთ ეს საქმე, სშირად დასვენება ავიწყდებათ. ისინი მუშაობენ ქალაღზე, მუყაოზე, თიხაზე,



ქსოვილზე. პრაქტიკულად იყენებენ არიომეტრიკაში, ბუნე-  
ბისმეტყველებასა და გეოგრაფიაში მიღებულ ცოდნას.  
თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყე-  
ვისის საშუალებას. ბავშვებს ინტერნატისათვის გამოყოფი-  
ლი მიწის ნაკვეთი აძლევს.

აღრე გაზაფხულზე დაამუშავეს ნაკვეთი. კვლასათ-  
ურებში პირველი თსილი ჩაყარეს. უბერსხიობიარე პამიდ-  
რისი — „შუქურას“ ჩითილენი ამოიწერა. მწვანედ  
აპიზინდა ხახვი, სალათა, ხენდარი. პიონერული ორწლე-  
ლისათვის აღებული ვალდებულება — გამოყევანათ 100  
ძირი ოთახის მცენარე. უკვე გადაჭარბებით შეასრულეს.  
გადარკეს 300-მდე ძირი მცენარე მათსავე დამზადებულ  
თიხის ქოთნებში.

— გადაჯექით მწვანე ხეივანდ ჩვენს საყვარელი პო-  
ეტის, აკაი წერეთლის პრისპექტი, გაეხაროთ სკოლის  
ირგვლივ მწვანე ნარგავები, ყვავილნარები! — ასეთი ამოცა-  
ნა დაისახეს პიონერებმა სა-უბილეოდ და, რაც მთავარია,  
ისინი პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს შეხედ-  
ნენ საუკეთესო კადემიური მიღწევებით.

სასწავლო წლის დასაწყისში რაზმეულის შეკრებაზე  
ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება: „არც ერთი ოროსანი  
სკოლა ინტერნატში“. დაიწყო დიდი პიონერული — ლაშქ-  
რობა“ ორიანების წინააღმდეგ.

ნუგზარი კარგი და ამავე დროს გულსხივიერი პიონე-  
რია. იგი მართს საკუთარი მიღწევებით როდი ამაუ-  
რებს. თუ ამხანაგმა სწავლაში წაიბოძოკა, გვერდში აშო-  
ულდება, დაეხმარება და სწორ გზაზე დააყენებს. მას ძა-  
ლიან აწუხებდა თანაკლასელი თამაზის ბედი. თამაზი  
ბოლო დროს სპორტს გადაწყვედა და ორიანებს ორიანებზე  
ღებულობდა. ნუგზარმა გადაწყვიტა  
ამხანაგს დახმარებოდა.

სალამოს ბიჭებს ფეხბურთი უნდა  
ეთამაშათ. მებუთე და მეექვსეკლასე-  
ლებმა ერთმანეთი გამოიწვიეს. მებუ-  
თეკლასელები დიდ იმედს აწყარბდ-  
ნენ თავიანთი გუნდის კაპიტან თამა-  
ზზე, რომელიც დოინჯშემოყრილი  
განზე იდგა და აღმაყვარად უცქერო-  
და „მოწინააღმდეგეებს“.

მსაჯმა სასტვენის ჩაბერა და მოთა-  
მაშენი მოედანზე გაიხმო. ფეხბურთე-  
ლები ორ მწკრივად განლაგდნენ და,  
როგორც წესი, გუნდის კაპიტანმა  
მსაჯისკენ გაემართნენ, რომ მოედან-  
ზე რაზმეულის საბუთს თავმჯდომარე

ნუგზარ ლაში გამაჩნდა. მან რამდენიმე სიტყვა უთხრა  
მსაჯს და მსაჯმა თამაში გადადებულად გამოაცხადა.  
მხოლოდ ნუგზარმა და თამაზმა იცოდნენ თამაზის გადა-  
კების ნამდვილი მიზეზი: თამაზმა, ჩვეულებისამებრ, გა-  
კეთილები განზე გადადო და ფეხბურთის მიამურა,  
უყვარდა ფეხბურთი და კარგადაც თამაშობდა. მაგრამ  
ინტერნატს თავისი დაურღვევლი კანონებიც აქვს — უპი-  
რველეს ყოვლისა, წარინებელი უნდა იყო სწავლაში.

შემდეგ რაზმეულმა იხსელა თამაზის გადადების მი-  
ზეზე და გადაწყვიტა: მხოლოდ ორიანების გამოსწორების  
შემდეგ მიეცემოდა თამაზს გუნდის კაპიტანობის უფლება.  
თამაზს კრინტიც არ დაუძრავს. დემოზირილა კოლექტის.


ამ დღიდან დაწყებული ნუგზარი და თამაზი ერთად  
ამზადდნენ გაკვეთილებს. განვლო დრომ. მეოთხე მეო-  
თხედი მიიწურა.

... ბუთ საბუთე სკოლის მოედანზე თამაში იყო  
დანიშნული. ბავშვები ღელადნენ გაისმა მსაჯის სასტე-  
ვის ხმა და მოედანზე თამაზი ამაყად შემოიშულა თავის  
თანატოლებს. „ვამა! ვამა! თამაზი კვლავ ჩვენთანაა“, —  
ხმაშალა გაჰყვიროდნენ მეექვსეკლასელები; ახლა მათი  
კაპიტანი წარინებელი მოსწავლე იყო.

აი მეგობრობა და მისი საყოფი . . .  
ერთხელ მეექვსე კლასის მოსწავლე მანანა ავად გახდა,  
სიცხებ აუწია. ნანი ბუაჟე მეგობარს მთელი ღამე გვე-  
რდით უჯდა, უვლიდა, ეფერებოდა, წამლებს დროულად  
ასმებდა. მანანამ მალე მოიკეთა. ეს ამბავი მთელმა სკო-  
ლამ გაიგო. გაიგო, მაგრამ პატარებს როდი გაჰკვირვებიათ,  
რადგან თითოეული მათგანს მსგავს შემთხვევაში ასევე მო-  
იქცეობდა. ასეთი მეგობრობა, სიყვარული, თავდადება —  
აი, რა არის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა დევიზი.

გ. მებრძველი  
ლოტო დ. იაკობაშვილისა

ნუგზარი და ედიშერი ერთმანეთს  
„ქარანაში“ გამოფინისათვის ამზადებენ  
ქაპიტანებს.





# მოკლე ლექსები „კავკასი“



ძველად სოფლის ბავშვების ყველაზე საყვარელი გასართობი ზამთარში ციკვობა და ზღადავითი კაქანაი იყო, რომელსაც მოხელთან ღრმა თაღმუხი ჩაღვადანენ და გაიწოდებდნენ. მშვიტი ბელურებს შეუბრახებლად იტყვდნენ:

თვენი, ჩემო პატარა მეგობრებო, კაქანაი თუ არ დაგიდავით

და არ იცით რაგორია იგი, ალაბო, იროდონი ცველიშვილის „კაქანაი“ წაკითხვაზე.

მეც წაბიჭობას ირ. ცველიშვილის „კაქანაი“, ხოლო სოფლის სკოლაში ჩემი მოწაფეობის დროს მიხვარა კიდევაც ი. ცველიშვილის „კაქანაი“, რომელიც იაკობ ვიკიტიშვილის შეტანილი ჰქონდა თავის სახელმძღვანელოში — „ბუნების კარა“.

ამ მოთხრობამ ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ახლაც თვალწინ მდებდა და მახსოვს იმ პატარა ბიჭების გულმოდრთადი გამძაპ, რაც მეც გადავიძო და აღდგინის შოშიცა.

როდესაც წილად მზება საბავშვო ლიტერატურის გამოცემლობაში მუშაობა, წამებე საპიროდ ვყავი „კაქანაის“ ცალკე გამოცემაზე მოწოდება. მართლაც, იგი შევიდა სახელგორ ბიბლიოთეკის სერიაში და გამოვიდა 1987 წელს.

არცა თქვენთვის შევადგინე წიგნი „ქართული საბავშვო ლიტერატურის მომავალი“, მინდოდა „კაქანაის“ შემტანა, მაგრამ შიშა ატორის ვინაობა ვერ მივიკვლიე და ამიტომ ვეღარ დაიბეჭდა.

და აი... სრულიად შემთხვევით, როდესაც პირბაბა ბავყალი მრველიშვილმა მიზიგა ძველი საბავშვო ტურნამენტისა და მასხარელების არა მომეხდინა მოთხრობა „დღისა“ დასახებდა, კვლავ ი. რვეიშვილის „კაქანაი“ დავუბახებულა. მან მისახსენა: „კაქანაი“ ბიბლიოთეკაშია. ამ მოულოდნელი ამბის გავიგებთ იმ აღფრთოვანად, რომ ბავყალი მრველიშვილს მოსვენება აღარ მიეციე და მან სიამოვნებით დამისახება მასხარეები, საიდანაც ვაგივებდეს ი. რვეიშვილის ბიოგრაფიას.

რვეიშვილი ლიტერატურული ფსევდონიმი იოსებ მრველიშვილისა.

ოსებს (სოსიკო) რომანოვის ძე რვეიშვილი დაიბადა სოფ. მცხეთაში 1864 წელს. მისი მამა რომანოვს სახელგორ სემინარიადამ-თავრებული დეკანოზი იყო, ამავე დროს არბების კარგ შემდგენელი იოვანბედა; მხოლოდ იოსების დედა, ნატალია აბულაძის ქალი, მტკად საზნო, ცოლი და იქაბის მოსყვარელი ყოფილა. რომანოვ მრველიშვილის დიდ იქაბში პირველი ვაჟიშვილი იოსები იყო. მას მოხებდა ვაიჩიგა — კარგი ექიმი, ალექსანდრე — ცნობილი მხატვარი (მამა ბავყალი მრველიშვილისა), ნინო, დარია და ტასო. რომანოვ მრველიშვილმა შეიღებეს ვაიჩო განათლება მთავრებინა. პირადად ვიცნობდი იოსების და ნინოს. იგი იყო საზნო, საწოდოანი, დარბაზიელი, აღფრთანი, ჭკვიანი, ტყბილი მოსაუბრე. მან შესწავნივად იცოდა ქართული და რუსული ლიტერატურა და ისტორია.

ოსებმა პირველდწეებითი განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო, შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს თავის ბიბასთან, კეიო ხოლომონ მრველიშვილთან. იოსების მტკად აინტერესებდა ბავშვობის რგა და უწოდდა უწინგორბტბი თქ დავითარებისა, მაგრამ მალე სამშობლოში გამოსწავა გულბა. მიუბედავად რუსეთში მოკლე ხანს ცხოვრებისა, ი. მრველიშვილმა იმ დროის მოწინავე

იდებში კარგად შეითვისა, მოეწადა საზოგადო მოღვაწეობისათვის, რათა თავის ერს დახმარებოდა. მის განათლებასე უტარუნა.

ოსებს მრველიშვილი საქართველოში ჩამოსვლისთანავე ქართველ ბავშვების წყაღა-განათლებით დაინტერესდა, მან მოწაფე პანსიონი, ქართველ ბავშვებს აწავებდა ვინაზებისათვის (იმ დროს საშუალო სკოლას ვინაზია ერცა). იოსები დიდი მოსყვარული იყო თავისი ქვეუცისა, ქართული ენისა, ქართველი ბავშვებისა და ატუბდა რა, რუსების მეფის რვეიში ქართველ ერს დიდ განბას ერს არ აღწევდა, თავგანობებით იცადა ქართული ენის სიწმინდეს, ქართველი ბავშვების წგრობრივ აღზრდის ქართულ ნიადაგზე. ამიტომ თავი გამოიღო მათთვის სულიერი საზრდოს განტანზე და ანდრია ღვამდმთან ერთად ჩამოაყალიბა სარეული საბავშვო ტურნამი „ნობათა“, რომლის პირველი ამბიშუო ნომერი 1888 წლის დეკემბერში უნდა დაბეჭდილიყო. მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გამოვიდა 1884 წლის იანვარში. გადაფურცლავთ ამ ტურნამის პირველი ნომრის და ნახათ, რომ სხვა მასხარეებთან ერთად საკმაო მასალა არის შეტანილი და შეესებული იოსებ მრველიშვილის ნაწერებთან: დღესი თუ მოთხრობა, რბუნის თუ სხვადასხვა თემაზე დწერილი ვიგების სავარჯიშო და სასარგებლო წერილები, ფსევდონიმებით: ი. რვეიშვილი, ა. რომანიძე, ი. რვესაძე, სოსიკო; ეს არც არის სავიციელო საბავშვო ტურნამი იმ დროს სრულიად ახალი მოვლენა იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი შედგენა, შეტანა სხვადასხვა საინტერესო მასალით არც იხე იოლი საქმე იყო. ამიტომ მოუბდა იოსებ მრველიშვილს დიდ შრომის გაწევა, რადგან ბავშვებისათვის წერა აბლადამწეები მწერლობისთვის იოლი საქმე არის. ი. მრველიშვილის ლექსების, მოთხრობებისა და წერილების ენა მარტივია, მხატვრული, აზრი ნათელი და ბავშვებისათვის მისაწვდომია. ი. მრველიშვილს უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, ბავშვები. იგი იციის, შინაარსისა და ფორმის მხრივ აკავი წერიეთილისა და იაკობ ვიკიტიშვილის ცოვლს აღწევს.

როგორც ჩანს, ი. მრველიშვილის ხაბით იმ ხანად ქართველ ბავშვებს გაუჩნდათ კიდევ ერთი დიდი მომავა: კარგი მწერალი, საბავშვო ტურნამის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მაგრამ იყო, რომ დღესან ვერ იცოცხლა ამ სიცოცხლის მოვარულმა და ინტერესოვ აღსავსე გენგენარე ბავყალი. შეხედავთ მის სურათს, მის ჭკვიანოვ შეუბღს, აღფრთანი თაღებეს, მტკიცე გამოხრებას და იგრძნობთ, რომ იგი ჩაგვრას, შეურაცხუფას ვერ ატანდა... 1886 წელს ი. მრველიშვილმა თავი მოკლა და საბავშვო ტურნამ „ნობათა“ მთავარ ბოძი გამოცემა. იოსებ მრველიშვილი დასაფრთხილებულია მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში, სადაც იგი ნაყარდობდა თავის ბაღლიობის დროს.

ამით გამოთავრებ მოკლე თხრობას იოსებ მრველიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებაზე. მაგრამ აბით არ დავამთავრებ საერთოდ მისი შემოქმედების შესწავლას. მის ნაწერებს თავს მოვუტარი, ბიოგრაფიაზე მუშაობას განვიგრძობ და ცალკე წიგნად შემოგთავაზებთ. ახლა კი წაითხეთ მისი შესწავნივად მოთხრობა „კაქანაი“ იმ ხაბით, როგორადაც პირველად დაიბეჭდა 1884 წლის „ნობათის“ პირველ ნომერში.

ანა ღვინგიშვილი

უა ზამთარია, გარეთ თოვს და ძალიან ცივა, მაგრამ მე და ჩვენი პატარა ბიჭი ვისაუბრებ ამბავს არაფრად არ ვფელდებთ და მოსლის კარებთან ატუხულები, ძალიან გულმოდგინედ ვუყურებთ ერთს თოილ ნაბიჯზედ დაგებულს კაკანათს. კაკანათი სრულიად დამალულია თოვლში, გარდა სამიოდ პურის მარცვლისა, რომელიც ასხმულნი არიან ძაფზედ და ელვან ეშვებ პელურა-ჩიტებს. მოფრინდება პატარა ეშვები ჩიტო, დანახავს მარცვლს, მივა, ჩაპყრავს, ჩაპყრავს... კამ დაეცემა კაკანათი და დაეკირება ციხერში რკალი ჩვენს პატარა ჩიტებისა.

ჩვენ სულგანებულნი ვუყურებთ კაკანათს პატარა ქუქრუტისიდან. ჩიტებმა დაიწყეს კაკანათთან მოგროვება. ერთი მათგანი გამოგოგდა კიდეც კაკანათისკენ, აუბრაჩა მოუპარა მას, იპოვნა მის ახლო ორიოდ პურის მარცვლი და ერთბაშად ყლაპაინი გააღინა. აი, დაუპირდაპირად კაკანათსაც და... ჩაპყრა ერთი... ჩვენ სიბარულსაგან ყელში სისხლი მოგვარდა. გულმა ძაგა-უფი დაგვიყო.

— მომეცა, — იძახის ვასიკო, — მომეცა, სავა დაეცემა! — და რაც შეუძლიან იწყებენ ქუქრუტისაში. მაგრამ ამ დროს კაკანათის დაცემის ხმის მაგიერ მოისმის ფრ...რ...რ... და ჩიტები ამოვლებიან. იმათმა ამშულმა, ერთმა ვილკა ახმამა, ნაბაღში გახვეულმა კაცმა, არჩინდა ჩამოხარა კაკანათისკენ, თითქოს აქ არაფერი, წამოპყრა კაკანათის თავის



კვირველი სიცილი ვიცილი: თუ ერთი ამიტულებოდა, გათვდა, ვეღარავინ ვერ დაწავუნებდა ყოველი გაჯერება ხეწნა ამის შემდეგ ამო იყო. მოხდებოდა ხოლმე, რომ ცოტა ხანს როგორმე შევიძარებდით თავს, მაგრამ მერე ისევ ერთი ახირებული რამ მომავინდებოდა და ისევ ვიწყებდი ხარხარს...

მე ვიცილი. სუ, — ბიჭო, გაიგებენ! თორემ ავინთე ამ სახრის ვეღრდები, — ჩუმად მიჯერდება ვასიკო, მაგრამ მე, ჩემდა უნებლიე, უფრო ეშვებზედ ხარხარს.

— გაუშვილ მეტი! — მიმეორებს ვასიკო, — რა გათართიარეებს? თორემ კაკანათს თავს დაეანებებ აი!

— რა გენა, ვასიკო! — ვეუნებები მე, — არ შემიძლიან და რა გენა?

— არ შეგიძლიან? მაშ მოიგონე ვინმე თქვენი მიკავებული და სიცილი ჩაივარდება.

მეტი ღონე არ იყო... მე ჩიტების გულსათვის მივეცე თავი მწარე ფიჭებს და მოვიგონე საწყალი ჩემი დიდი-დიდი. სიცილი მართლა ჩამივარდა.

ჩვენ მიეცვივდით ისევ ქუქრუტისათან და თვალწინ წარმოვიდგა შემდეგი სურათი: ერთი მამალი ჩიტო შემჯდარიყო ჩვენი კაკანათის რკალზედ და შეუპოვრად იშენდდა ფრთებს, თითქოს სხვა ალგა ვიღარ უპოვებოთ. აი, ერთბაშად შეასწორა მან თვალი პურის მარცვლებს, გადმოხდა იქნიდა, ეცა კაკანათს და ჩაპყრა ერთი

— ვან! ჩაპყრა მეორე, კაკანათის ენამ ცოტა ძირს დაწოდა.

— ერთი! — ვე...ა...სი...ყო...ო...ო! — შეწყვირა ვიღამაც ჩვენს ახლოს ერთი იეტი, თითქოს ვასიკოს ნარიყალა გადაუვლია.

ჩიტები, რასაკვირველია, აფრინდნენ. ჩვენ ჯავრისაგან გულუბნი დაგვწყდა და სიბრაზისაგან მხადა ვართ ფიტრობი. გახიხივით, იქვე ახალს... შემეშინებინა სდგან ჩვენი მომასახურე გოგო ანუა, კოეთ ხელში, ჩვენ, რა

# კაკანათი

იოსებ რევივილი

ნახ. რ. ცუცქერიძისა

ტრუტი ფეხები და ამოვლო თოვლად.

— მოგტუდეს კიბერი, გაგინმეს ფეხები! — მოსახის მას უკან გულდათუთული ვასიკო.

მაგრამ მტტი ღონე არ არის, ჩვენ გაერბივართ, რომ კაკანათი ხელმოყოფე გავასწოროთ.

გავასწოროთ ზელმოვრედ კაკანათი, წვაყვარეთ ახალი თოვლი და ისევ ამოვეფარეთ ბოსლის კარებს.

ჩაჩიბი იწყებენ ისევ მოგროვებ

ბას. ორიოდ მათგანი კიდეც უახლოვდება კაკანათს.

— მოლოდ, გენაცვა, მოლოდ, ქუქრისა! — იძახი ჩემად გახარებული ვასიკო და თან, რაც ძალი და ღონე აქვს მუჭულუგუნება მცემს, — იცი რა? — განავრბობს სიტყვას ვასიკო, — ეგ ზღერა ჩიტო წედანდელია, აი... კულხედ ეტყობა!

— კულხედ ეტყობა, — ჩემად გავიმეორე მე და ერთბაშად წამსკდა სიცილი. უნდა გითხრათ, რომ მე სა

ზურგან

საკვირველია, მივხედით, რომ ის იყო მიზეზი ჩვენი ჩიტების დაფრთხობისა.

— შე ამოსავარდნელო, შენა! — ეუბნები ანუას, — რაზე გავციფრთხე ჩიტები, ა? ის იყო ჩაქრა კიდე!

— ჩაქრა? არ ვიცი, ღმერთმანი, — იძახის ანუა.

— არამარა და დარღუბალა, შე ხმა ვასაწყვეტო, შენა, — მიამახა ამ დროს ბოსლიდამ გამოსულმა ვასიომ, — არა, ისეთი რომ არ შეგებდებოდა, არ იქნებოდა?

— ხმაუ გავაწყვეტო და თვალმეტიც დაგიდგა, შენ მანჭიკო, შენა! გასწი, ე კოკით წყალი ამოიტანე, თორემ მეტყვი ქალბატონს!

ამ დროს ჩამოვიღის მამაჩემი, ვასიო წაბოკვლებს ზეღს კოკას და გარბის წყალზე.

— რაო, რა ამბავია? — ჰკითხულობს მამაჩემი.

— რა ვიცი, — ეუბნება ანუა, — ერთი ყოფა კი დამაჩიეს და! აქაოდა

ჩიტები რად დაგვიფრთხო, იმ პირ-განამავეებელმა ვასიომ წყევლით ამიქლო.

— ეგ არის, კაცანთზედ იარე, შვილო, კაცანთზედ! ეგ გაცხოფრებს, აი! — მეუბნება მამაჩემი, — აქულობარ მაგ გიე ბიჭსა და მთელი ღღე დასდეთ ჩიტებს!

ამ სიტყვების შემდეგ ის ჩაივიღის შინსკენ.

რასაკვირველია, მე მინდა ისე მოვიტყე, როგორც მამაჩემს იამება, მაგრამ მეორეს მხრივ ძალიან მიეყვარს ჩიტები და დევნა და შხადა ვარ ყოველ თვისუფალ დროს ვავარჯიშო ჩემი გონება რომელიმე კიე მახის მოგონებაში, რომ უფრო ადივილად დავიჭირო კუდიანი ჩიტები...

და ამიტომ, მამაჩემის სიტყვების შემდეგ, ვდგევარ გაოცებული ერთი ალგას და ვფიქრობ მახზე, თუ რით არის ჩემი ამხანავი ვასუა გიეი და კიდე რაღაც სამინეს „ცხოვრებაზედ“, რომელსაც მამაჩემი მაგონებს ხოლმე ყოველ ცისმარე დღეს...

დროის კვირვებულ დაყოფას არა აქვს ისეთი მტკიცე ასტრონომიული საფუძველი, როგორიც ღღე-ღამეს ანდა წელწელადს. ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხში გავრცელებული ყოფილა არა მტრთო შეიღდიანი კვირა, არამედ ხუთი, რვა და ათი ღღისაგან შემდგარი კვირავი.

მაგალითად, ბაბილონელებს ჰქონიათ ხუთღდიანი კვირა, სიადნაც წინარმოდგარა მისი სახელწოდება **ხამუსტე**, რაც „ხუთეულს“ ნიშნავს. რეალიანი კვირა ჰქონიათ რომაელებს, ცხრადღიანი — ინდოელებს, სპარსელებს, ვეღ ბერძენებსა და ეგვიპტელებს. ეგვიპტელებს ერთხანს ჰქონიათ აგრეთვე ათღდიანი კვირავი.

კვირის ხანგრძლივობის ასეთი ნაირფეროვნება გამოწვეულია იმით, რომ კვირვებულ დაყოფა სხვადასხვა პრიციპს ეყარება. მაგალითად, აფრიკელი ზანგები კვირაში ანგარიშობენ ზანზობიდან ზანზობამდე დროის მოწაკევის. ამიტომაც მათი ზოგი ტომის ენაზე კვირა და **ზანზარი** ერთი სიტყვიც გამოიხატება.

შვიდი ღღისაგან შემდგარი კვირა პირველად ბაბილონელებს შემოუღლიათ, აქედან იგი გავრცელებულა ეგვიპტეში, ეგვიპტიდან კი ვაღდულიათ ბერძენებს, სპარსელებს, ინდოელებს და სხვა ხალხებს.

ძველად თაყვანს სცემდნენ პლანეტებს, მზესა და მთვარეს, სულ შვიდ მნათობს, — რომლებსაც თავისთავისი ღღე ჰქონდათ მიეკუთვნებულა. ამიტომაც კვირაში შვიდი ღღე გამოიღოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ რიქები შვიდი ღღეაბრეო, ზედნიერ რიქვად იყო მიჩნეული. შემდეგ ქრისტიანულმა რელიგიამ შვიდღდიანი კვირას დაუკავშირა მითი, თითქოს ღმერთმა ექვს ღღეში შექმნა სამყარო და მეშვიდე დღეს — კვირას გააჩინა ადამიანი. ყოველგვამან ხელი შეუწყო შვიდღდიანი კვირის გავრცელებას.

ჩვენშიაც უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულია შვიდი ღღისაგან შემდგარი კვირა, რომელსაც ამის





# წარმოვა გუეპიზ სხელები

გამო ძველად შეიდეული ეწოდებოდა.

ახლა ის ეკითხობთ, — რატომ დავრქვა კვირამი შევალო დღეებს ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა.

ადვილად შენიშნავთ, რომ გარდა ორი დღისა პარასკევისა და კვირის სახელწოდებისა, ყველაზე მეორედმა სიტყვა შაბათი. შაბათი ანუ შაბათი ებრაული სიტყვაა და უქმეს, არასამუშაო დღეს ნიშნავს. ძველად სწორედ შაბათს ისვენებდნენ და უქმობდნენ, შაბათი იყო კვირის უკანასკნელი დღე და მთელ კვირასაც ანუ შეიდეულსაც შაბათი ერქვა (ისევე, როგორც ახლა კვირა ორივეს აღნიშნავს). რუსულშიაც ძველად „ხედელია“ ეწოდებოდა არა მარტო შეიდეული მთლიანად, არამედ კვირადღესაც. სიტყვა ხედელია სწორედ „არასამუშაო“, ე. ი. არასამუშაო დღეს ნიშნავს, ხოლო ორშაბათს ამის მიხედვით ეწოდება პონედელნიკი, — „ხედელია“ ანუ კვირადღის მომდევნო დღე.

ებრაული სიტყვა შაბათი ქართულში ამ ფორმითაც გვხვდება და აღნიშნავს საქმის შეწყვეტას, შესვენებას, უქმის დადგომას. იგივე ფორმა მოიპოვება რუსულშიც. ცალკე დღის აღსანიშნავად კი იხმარება ქართულში შაბათი, რუსულში — ხუბოტა, ბერძნულში — საბატონ, მეგრულში — საბატონი, სვანურში — საფტონ. ყველა ეს სიტყვა წარმოშობით ერთია.

კვირის სხვა დღეებს რიგის მიხედვით დავრქვა ორ-შაბათი, სამ-შაბათი, ოთხ-შაბათი, ხუთ-შაბათი.

მაგრამ რატომ არ გვაქვს ერთ-შაბათი, ან პარასკევის რატომ არ დავრქვა ექვს-შაბათი?

ერთ-შაბათი კვირადღეს უნდა რქმეოდა და იგი გვხვდება კიდევ ძველ ქართულში, მაგრამ საბოლოოდ მის

მაგიერ დამკვიდრდა სახელწოდება კვირა, ძველებურად — კვირიაკე, რომელიც ბერძნულია და „საუფლო დღეს“ ნიშნავს. ეს სახელი დავრქვა მას იმის გამო, რომ კვირა უფრო დღედ იქნა მიჩნეული და დასვენება შაბათთან ამ დღეს გადმოიტანეს.

რაც შეეხება პარასკევს, ისიც ბერძნული სიტყვაა და „მომზადებას“ ნიშნავს. ძველად დასვენების წინა დღესაც ნაწილობრივ უქმობდნენ. ნაშუაღღეს მუშაობა აღარ შეიძლებოდა. ეს დრო ხმარდებოდა დაბანადსაუფთავებებს და სადღესასწაულოდ მომზადებას. ვიდრე დასვენების დღე შაბათი იყო, ასეთ მოსამზადებელ დღეს სწორედ პარასკევი წარმოადგენდა. ამიტომ დავრქვა მას ეს სახელი. როცა ბერძნებმა და სხვა ქრისტიანმა ხალხებმა დასვენების დღე შაბათიდან კვირას გადმოიტანეს, კვირადღის გარდა სხვებს სახელი მაინც ძველებური შერჩა. ამრიგად, პარასკევს შერჩა მოსამზადებელი დღის სახელი, შაბათს კი — დასვენების დღისა.

დღეების ეს სახელები ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად დამკვიდრებულა, ეს უკვე დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებში. მაგრამ უფრო ადრე, ათას ექვსსაზე მეტი წლის წინათ, ჩვენში, დღეებს სხვა სახელები


რქმევია. სულხან-საბა ორბელიანი წერს: „ქართულად შაბათისა სახელი არის კრანოსისა, კვირიაცისა — შინა და საუფლო, ორშაბათისა — შიოვარისა, სამშაბათისა — არიასი, ოთხშაბათისა — ტრისა, ხუთშაბათისა — აფროდიტისა, პარასკევისა — დიოსისა“.

ამვე მოსაზრებას ადასტურებს მეგრული და სვანური, სადაც დღეევათადად შემოგვრჩა დღეების უძველესი, წარამართული სახელები. ასე, მაგალითად, კვირას მეგრულად ჰქვია ეაშხა ანუ ბეაშ-და, რაც „შინა დღეს“ ნიშნავს. ამასვე ნიშნავს სვანურად კვირის სახელი მიეღლა-დელ. ორშაბათს მეგრულად თუთაშხა ეწოდება (თუთაშ-და — „შიოვარის დღე“), სვანურად — ღოშ-ღოშ („შიოვარისა“). დანარჩენი დღეების სახელებია: თახაშხა, ჭუშაშხა, ცაშხა, ობიშხა, საბატონი (სვანურად: თახაშ, ჭუშაშ, ცაშ, ვებიშ, საფტინი). ამათვე მხოლოდ შაბათის სახელწოდება საბატონი (საფტინი) ნახესვებია ებრაულიდან ბერძნულის გზით, ხოლო თახა, ჭუშა, ცა და ობი, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, უძველეს წარამართულ ღვთაებათა სახელებია, რომლის მიხედვითაც დარქმევია სახელი კვირის ამა თუ იმ დღეს.

წ. ზუბაშვიმი.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

<del>კრანოსისა</del>	
ორშაბათი	ორშაბათი
სამშაბათი	სამშაბათი
ოთხშაბათი	ოთხშაბათი
ხუთშაბათი	ხუთშაბათი
<del>ექვსშაბათი</del>	პარასკევი
შაბათი	შაბათი
	კვირა




საშუალო სკოლის შენობის ბინა. ბინაში, ვაჟივს კრწახე ამ ბინაში, საიდან შენობაში იმართება ხმად ხეზე ხეჯვარობა.

ჩემი ეს გაკეთილი მერე კლასში. ნახე ბავშვებთან ერთად წიგნდება დაწერა დაუბნე. ახლა სტრია დაკვირვებთ გაიხილთ ეს.



გახატავთა მეთხემატელა ვახა. ბა დაუნუხი, ეს-ბ არა მხოლოდ ბინა უნდაღის შეუბეხა მიღე.

ეს სურათი, სკოლის ტარში, წყიან ამანშია გა-  
ლატებული, თარე დაჩახვითი რა ხიამონებით  
ბროხიან ხეგეხი "რეტად" წიგნებულ ამ  
ხისხილოთი.



# კახიანი მეგობრებთან



ჩემოსლოვაკიის ყველა სკოლაში უმცროსკლასელების სტეკალური თოხა და მოხაზვა, სადაც ბავშვებს ჩაყვებულობის შემდეგ რჩებიან და მკაფალებულობის შედეგად მოხაზვის, მხატვლების მიხედვით ერობიან.



